

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 88-ე მუხლის შესაბამისად შედგენილი ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ოთარ ხარჩილავას

ანგარიში

ანგარიში მოიცავს 2015 წლის 30 ოქტომბრიდან 2016 წლის 31 ოქტომბრამდე პერიოდს.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 44-ე მუხლის შესაბამისად, როგორც ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ვახორციელებდი შემდეგ საქმიანობას:

- ა) მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომებში მონაწილეობა;
- ბ) მუნიციპალიტეტის საკრებულოს გადაწყვეტილებათა პროექტების მომზადება და ინიცირებაში მონაწილეობა;
- გ) მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების, ფრაქციის მუშაობაში მონაწილეობა;
- დ) მუნიციპალიტეტის საკრებულოს წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოსადმი/თანამდებობის პირისადმი კითხვით მიმართვა;
- ე) ამომრჩეველთა მიღება, მათი წერილების, წინადადებებისა და საჩივრების განხილვა.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის საქმიანობიდან გამომდინარე, მონაწილეობა მიღებული მაქვს: 2015 წელს – საკრებულოს 4 დადგენილებისა და 17 განკარგულების, ხოლო 2016 წელს – 29 დადგენილებისა და 70 განკარგულების პროექტების განხილვაში.

პერიოდულად ვხდებოდი ამომრჩეველებს, სოციალური, ეკონომიკური, ინფრასტრუქტურული და სხვა პრობლემატური საკითხების განხილვასთან დაკავშირებით.

საკრებულოს წევრი

ოთარ ხარჩილავა